რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისა და შესაბამის გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის მიზნით მოდიფიცირების თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ 2015 წლის 17 ივნისს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ" (№3691-11ს სარეგისტრაციო კოდი 045014000.05.001.017777) აღნიშნული კანონის მეორე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კომისიას დაეკისრა ვალდებულება 2016 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიების მოდიფიცირება საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

კომისია აღნიშნავს, რომ "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად ლიცენზირების რეჟიმი შენარჩუნებულ იქნა რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებით რადიომაუწყებლობის განხორციელებისას.

კომისია აღნიშნავს, რომ "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში კერძოდ 38-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად მაუწყებლობის სახეებია: ტელემაუწყებლობა და რადიომაუწყებლობა; მაუწყებლობის სახეობებია კერძო მაუწყებლობა და სათემო მაუწყებლობა, ხოლო კერძო მაუწყებლობის ქვესახეობებია საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობა. ამავე დროს 38-ე მუხლის მე-7 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად მაუწყებლობის ლიცენზირებისას მიეთითება მაუწყებლობის ენა/ენები.

კომისია აღნიშნავს, რომ მაუწყებლობის ენების დადგენის მიზნით ლიცენზიის მფლობელ რადიომაუწყებლებს დაეგზავნათ წერილები (დანართი №1), რათა კომისიაში 2015 წლის 15 ოქტომბრამდე წარმოედგინათ ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებული მაუწყებლობის ენის/ენების შესახებ.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ რადიომაუწყებლობის ცალკეული ლიცენზიების ტექნიკურ პარამეტრებში მითითებული სამაუწყებლო ზონების ნუმერაცია აღარ შეესაბამება კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილებას, რომლის თანახმად 87.5მჰც-დან 108.0მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში ადგილობრივი რადიომაუწყებლობის ზონა არის საკონკურსო პირობით განსაზღვრული, ერთი ან რამდენიმე გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის ან/და სადგურების მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ კომისიას წერილობით მიმართა შპს ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთმა" (წერილის კომისიაში რეგისტრაციის №შ-7/8759-15, 13. 11.2015) და მოითხოვა კუთვნილი ლიცენზიის მოდიფიცირება. კერძოდ შპს ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთი" ითხოვს კუთვნილი №B57 ლიცენზიით გათვალისწინებული სიხშირული რესურსის (104.8 მგჰც) კენტი რიცხვით დაბოლოებული სიხშირით (104.9 მგჰც) შეცვლას, ვინაიდან საქართველოში არსებული ავტომანქანების მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკული წარმოებისაა, რის გამოც მანქანაში არსებულ რადიომიმღებს, მხოლოდ კენტი რიცხვით დაბოლოებული სიხშირის მიღება შეუძლია.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის 2015 წლის 19 ნოემბრის №10/8974-15 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად, ეთერში ელექტრომაგნიტური თავსებადობის შენარჩუნებით შესაძლებელია შპს ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთის" კუთვნილი №B57 მაუწყებლობის ლიცენზიით განსაზღვრული სიხშირე 104.8 მგჰც შეიცვალოს 104.9 მგჰც სიხშირით.

კომისია აღნიშნავს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობაში ან მაუწყებლობის სფეროს პრიორიტეტებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა;

ბ) კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე.

შპს ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთის" განცხადების საფუძველზე მისი კერძო მაუწყებლობის №B57 ლიცენზიის მოდიფიცირების მოთხოვნის შემთხვევაში, კომისია ხელმძღვანელობს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის შესაბამისადაც, იკრძალება საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის იმგვარად მოდიფიცირება, რომელიც გამოიწვევს ლიცენზიის სახეობის შეცვლას ან ლიცენზიით განსაზღვრული სამოქმედო ზონის სიდიდის ცვლილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ შპს ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთის" მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. კერძოდ, სახეზეა "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა: ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე; ამავე დროს, შპს ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთის" კერძო მაუწყებლობის №B57 ლიცენზიის მოდიფიცირების შემთხვევაში არ დაირღვევა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიების მოდიფიცირება ხორციელდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. შესაბამისად კომისიას მიაჩნია, რომ საჭიროა დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიას მიაჩნია, რომ რადიომაუწყებლის ლიცენზიების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოდიფიცირებისას საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს შპს ტელე-რადიო კომპანია ”თრიალეთის” კუთვნილი №B57 მაუწყებლობის ლიცენზიის მოდიფიცირებისას ამ ლიცენზიით გათვალისწინებული 104.8 მგჰც სიხშირის შეცვლა 104.9 მგჰც სიხშირით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ”, საქართველოს კანონის (№3691-11ს სარეგისტრაციო კოდი 045014000.05.001.017777), მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე–9 პუნქტის, 45–ე მუხლის პირველი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავის შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ქვემოთ მითითებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისა და შესაბამის გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის მიზნით მოდიფიცირების თაობაზე;

№	ლიცენზიის №	ლიცენზიის მფლობელი	კომისიის გადაწყვეტილება
1	B62	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივი	N400/6; 31/07/2014
2	B48	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ასოციაცია ათინათი	N831/6; 30/12/2011
3	B86	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაცია	N564/1; 22/12/2006
4	B102	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის	N434/1; 25/07/2008
5	B93	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის	N529/1; 14/09/2007
6	B96	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის	N809/1; 28/12/2007
7	B171	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი რადიო-ტვ ნორ	N12/1; 08/01/2015
8	B123	ინდ. მეწარმე კორნელი შუღლაძე	N197/1; 09/03/2012
9	B92	შპს დამოუკიდებელი ტელერადიოკომპანია ოდიში	N445/1; 03/08/2007
10	B157	შპს ევროპა პლუს-თბილისი	N117/1; 27/02/2014
11	B158	შპს ევროპა პლუს-თბილისი	N116/1; 27/02/2014
12	B159	შპს ევროპა პლუს-თბილისი	N115/1; 27/02/2014
13	B163	შპს ევროპა პლუს-თბილისი	N337/1; 26/06/2014
14	B164	შპს ევროპა პლუს-თბილისი	N334/1; 26/06/2014
15	B165	შპს ევროპა პლუს-თბილისი	N335/1; 26/06/2014
16	B166	შპს ევროპა პლუს-თბილისი	N336/1; 26/06/2014
17	B54	შპს ევროპა პლუს-თბილისი	N346/6; 01/07/2014
18	B59	შპს ვი-ეს	N838/6; 30/12/2011
19	B172	შპს კომპანია მედიასტრიმი	N14/1; 08/01/2015
20	B173	შპს კომპანია მედიასტრიმი	N13/1; 08/01/2015
21	B7	შპს კორტესი-გიდაგო	N544/22; 09/09/2015

22	B110	შპს მედია ჰაუსი დეკომი	N566/1; 28/10/2011
23	B76	შპს მომავლის რეკლამა	N178/6; 02/04/2015
24	B168	შპს მედია ჯგუფი	N366/1; 10/07/2014
25	B169	შპს მედია ჯგუფი	N568/1; 09/10/2014
26	B52	შპს არტ რადიო	N834/6; 30/12/2011
27	B129	შპს რადიო იმედი	N582/1; 07/09/2012
28	B49	შპს რადიო იმედი	N824/6; 30/12/2011
29	B50	შპს რადიო იმედი	N641/6; 28/10/2013
30	B67	შპს რადიო კომპანია "საქართველოს ხმა"	N475/6; 26/07/2013
31	B45	შპს რადიო კომპანია პირველი რადიო	N401/6; 31/07/2014
32	B46	შპს რადიო კომპანია პირველი რადიო	N207/6; 16/04/2014
33	B79	შპს რადიო კომპანია პირველი რადიო	N28/6; 16/01/2015
34	B70	შპს რადიო უცნობი	N369/6; 17/07/2014
35	B154	შპს რადიო ჰოლდინგი ფორტუნა	N84/1; 13/02/2014
36	B155	შპს რადიო ჰოლდინგი ფორტუნა	N83/1; 13/02/2014
37	B156	შპს რადიო ჰოლდინგი ფორტუნა	N85/1; 13/02/2014
38	B63	შპს რადიო ჰოლდინგი ფორტუნა	N108/6; 30/01/2012
39	B64	შპს რადიო ჰოლდინგი ფორტუნა	N292/6; 01/05/2013
40	B65	შპს რადიო ჰოლდინგი ფორტუნა	N292/6; 01/05/2013
41	B66	შპს რადიო ჰოლდინგი ფორტუნა	N640/22; 28/10/2013
42	B78	შპს რადიო ჰოლდინგი ფორტუნა	N152/6; 25/03/2015
43	B89	შპს რადიო ჰოლდინგი ფორტუნა	N329/1; 15/06/2007
44	B170	შპს რადიოცენტრი პლუს	N630/1; 13/11/2014
45	B51	შპს რადიოცენტრი პლუს	N825/6; 30/12/2011
46	B104	შპს რ-რადიო	N369/6; 18/05/2012
47	B174	შპს სამაუწყებლო კომპანია ბოლნელი	N369/1; 25/06/2015
48	B175	შპს სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი	N495/1; 20/08/2015
49	B95	შპს სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი	N758/1; 11/12/2007
50	B144	შპს სამაუწყებლო სახლი	N326/1; 15/05/2013
51	B160	შპს სამაუწყებლო სახლი	N154/1; 20/03/2014
52	B161	შპს სამაუწყებლო სახლი	N153/1; 20/03/2014
53	B98	შპს სამაუწყებლო სახლი	N160/1; 28/03/2008
54	B14	შპს საქართველო XXI საუკუნე	N38/1; 27/01/2006
55	B81	შპს სისტემა გამა	N291/6; 01/05/2013
56	B82	შპს სისტემა გამა	N291/6; 01/05/2013
57	B145	შპს სტერეო +	N361/1; 31/05/2013
58	B57	შპს ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი	N835/6; 30/12/2011
59	B58	შპს ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღა	N820/6; 30/12/2011
60	B75	შპს ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღა	N29/6; 16/01/2015
61	B38	შპს ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო	N819/6; 30/12/2011
62	B44	შპს ტელე-რადიო პრესკომპანია ზარი	N830/6; 30/12/2011
63	B73	შპს ტელერადიოკომპანია "რიონი"	N828/6; 30/12/2011
64	B18	შპს ტელერადიოკომპანია ევრიკა	N311/6; 08/05/2013
65	B167	შპს ტვ-სახელოსნო მაესტრო	N333/1; 26/06/2014
66	B47	შპს ფოთი ტვ	N461/6; 06/07/2012
67	B138	შპს ქართული რადიო	N327/1; 15/05/2013
68	B139	შპს ქართული რადიო	N328/1; 15/05/2013

69	B140	შპს ქართული რადიო	N329/1; 15/05/2013
70	B141	შპს ქართული რადიო	N330/1; 15/05/2013
71	B142	შპს ქართული რადიო	N331/1; 15/05/2013
72	B90	შპს ქართული რადიო	N300/1; 01/06/2007
73	B72	შპს ჩვენი რადიო	N645/6; 26/11/2014
74	B71	შპს ძველი ქალაქი	N402/6; 31/07/2014

2. ზეპირი მოსმენის სხდომა გაიმართოს 2015 წლის 24 დეკემბერს 15:00 სთ-ზე, ხოლო გადაწყვეტილების მიღება მოხდეს ზეპირი მოსმენის ჩატარებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა;

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს:

ა) საჯარო გაცნობისათვის ცნობის გამოქვეყნება ინტერნეტში კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (ნ. ჯანელიძე);

ბ) აღნიშნული გადაწყვეტილების რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მფლობელებისთვის გაგზავნა (დაზღვეული საფოსტო გზავნილის სახით (ნ. ჯავახიძე);

4. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	ელისო ასანიძე
კომისიის წევრი	კახი ბექაური
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე